ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

აკაკი წერეთლის გამზ. N144
0119 თბილისი, საქართველო
1505 ; (+995 32) 2510011
info@moh.gov.ge

21 მარტი 2024

MOH 3 24 00332397

მოქალაქე ეკა მურადაშვილს

foi+request-2956-91e2089d@askgov.ge

ქალბატონო ეკა,

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში 2024 წლის 12 თებერვალს შემოსული თქვენი N165435 განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვდით ინფორმაციას ფსიქიატრიული დაწესებულებების, პაციენთთა რაოდენობისა და სხვა საკითხების თაობაზე, კომპეტენციის ფარგლებში გაცნობებთ შემდეგს:

მონაცემები ეფუძნება სტაციონარული ნებართვის მქონე სამედიცინო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილ ანგარიშგებებში ასახულ ინფორმაციას და მოიცავს 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებულ მონაცემებს:

- სტაციონარული ნებართვის მქონე სამედიცინო დაწესებულებებში დასაქმებული ექიმი ფსიქიატრების რაოდენობა არის, 2023 წელს წარმოდგენილი ანგარიშგებით - 142 (აქედან, ზოგიერთი ექიმი შეიძლება დასაქმებული იყოს ორ ან მეტ ადგილზე);
- სტაციონარული ნებართვის მქონე სამედიცინო დაწესებულებებში ფსიქიატრიის მიმართულებით დასაქმებული ექთნების რაოდენობა არის, 2023 წელს წარმოდგენილი ანგარიშგებით - 392 (აქედან, ზოგიერთი ექთანი შეიძლება დასაქმებული იყოს ორ ან მეტ ადგილზე).

დანართის სახით გიგზავნით, თქვენ მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას, სამედიცინო საქმიანობების უწყებრივი სანებართვო რეესტრის მიხედვით, დაწესებულებებზე (დასახელება, საიდენტიფიკაციო კოდი, მისამართი), რომლებიც ფლობენ სტაციონარულ ნებართვას და ნებართვის დანართს საქმიანობაში: „ფსიქიატრია“.

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი

სამმართველოს უფროსი, მეორადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
ანა დარახველიძე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად